შინაგან დაავადებათა #1 დეპარტამენტი

პროფესორი კახაბერ ჭელიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ირმა მამაცაშვილი

ასისტენტ-პროფესორი თამარ სარალიძე

ასისტენტ-პროფესორი თამარ სვანიძე

ასისტენტ-პროფესორი მედეა ჯღარკავა

ასისტენტ-პროფესორი თეა გეგენავა

შინაგან დაავადებათა #1 დეპარტამენტი

შინაგანი მედიცინის #1 დეპარტამენტი საწყისს იღებს „საფაკულტეტო თერაპიის“ კათედრიდან, რომელიც გაიხსნა 1921 წელს სამედიცინო ფაკულტეტზე. კათედრის გამგე იყო პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი. გასული საუკუნის 80-იანი წლებში კათედრას ეწოდა შინაგან დაავადებათა #1, ხოლო 1998 წლიდან – შინაგან სნეულებათა #5 კათედრა.
1976-1986 წლებში კათედრის გამგე იყო პროფესორი ვახტანგ ალადაშვილი,
1986-96 წლებში – პროფესორი გურამ რცხილაძე,
1996 წლიდან 2006 წლამდე კათედრის გამგე იყო პროფესორი ნოდარ ემუხვარი, 2006 წლიდან კათედრა კერძო თერაპიის მიმართულების სახით შევიდა შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის შემადგენლობაში, რომლის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ნოდარ ემუხვარი.
2015 წელს კერძო თერაპიის მიმართულებას ეწოდა შინაგან დაავადებათა #1 დეპარტამენტი, რასაც 2013 წლიდან ხელმძღვანელობს პროფესორი კახაბერ ჭელიძე.
კათედრის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შინაგან დაავდებათა მრავალი პრობლემის შესწავლაში: 60-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამხარეო პათოლოგიების შესწავლას, გასტრიტის პათოგენეზისა და კლინიკის პრობლემას, 1960-70 წლებში - გულის იშემიური დაავადების პათოგენეზსა და კლინიკას ასაკობრივ ასპექტში.
1970-90 წლებში კათედრა მუშაობდა ლიპიდების მეტაბოლიზმის დარღვევის პრობლემაზე, კათედრაზე შეიქმნა ლიპიდური ცვლის შემსწავლელი ლაბორატორია.
1975 წლიდან ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებს ეკითხებოდათ ფარმაკოთერაპიის კურსი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოც. მარინე კანდელაკი.
1977-84 წლებში დოც. ნოდარ ემუხვარის ხელმძღვანელობით ისწავლებოდა სამხედრო-საველე თერაპია ტოქსიკოლოგიით. 1990 წლიდან კათედრა მუშაობდა საყლაპავიდან ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევის შესაძლებლობებზე გულის სხვადასხვა დაავადების დროს. ამავე წელს კათედრის ბაზაზე შეიქმნა რეფლექსოთერაპიის რესპუბლიკური ცენტრი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოთერაპიის ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა სამამულო პრეპარატის – კოლხიცინის აპრობაცია პერიოდული დაავადებისა და ამილოიდოზის და ღვიძლის ალკოჰოლური ციროზის დროს.

შინაგან დაავადებათა #1 დეპარტამენტი

შინაგანი მედიციის #1 დეპარტამენტის დიპლომამდელი სასწავლო კურსი მოიცავს კარდიოლოგიასა და პულმონოლოგიას, სარეზიდენტი პროგრამა – შინაგან სნეულებებსა და კარდიოლოგიას.

კათედრის თანამშომლების მიერ დამუშავდა თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგია ქართულად და გამოიცა დიაგნოსტიკის ტერმინოლოგიის მასალები.
1982 წელს პროფ. ვახტანგ ალადაშვილის და დოც. მარინე კანდელაკის რედაქციით გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის „პრაქტიკული ფარმაკოთერაპია“.
2009 წელს პროფ. ნოდარ ემუხვარის რედაქტორობით გამოიცა სახელმძღვანელო „შინაგანი სნეულებები“.
2017 წელს გამოიცა კახაბერ ჭელიძის სახელმძღვანელო „ეკგ – მარტივი და სწრაფი ინტერპრეტაცია“.

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს კარდიოლოგიაში, პულმონოლოგიაში, გასტროენტეროლოგიასა და დერმატოლოგიაში მიმდინარე მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში.

შინაგანი მედიცინის #1 დეპარტამენტის პედაგოგიური პერსონალი: დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. კახაბერ ჭელიძე,
ასოცირებული პროფესორი – ირმა მამაცაშვილი,
ასისტენტ პროფესორები: თამარ სარალიძე, თამარ სვანიძე, მედეა ჯღარკავა, თეა გეგენავა.
ლაბორანტი – თამარ თავაძე.